

ნორმათა პირველი ვერსიები შეიმუშავეს ს. ჯანაშიამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) და ლ. ლეჟავამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში), გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

### **ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.**

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (2022 წლის 25 თებერვალს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე.

## **ატრიბუტული მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში**

ატრიბუტული მსაზღვრელი ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს (საზღვრულს) და განსაზღვრავს (ახასიათებს) მას რაიმე ნიშნის მიხედვით (ყვითელი ფოთოლი, მწვანე მინდორი, მალალი ხეები, დიდი ეზო, ხუთი ბავშვი, რამდენიმე მეგობარი, ზღვა ხალხი...).

თანამედროვე ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოიცემა ზედსართავი სახელით ან მიმღეობით (დიდი სახლი, პატარა გოგო, დედაშვილური სიყვარული, გახარებული ბავშვი...), რიცხვითი სახელითა (სამი მეგობარი, მეთერთმეტე კლასი...) და ნაცვალსახელით (ჩვენი სკოლა, ეს გზა, ზოგი საკითხი...). ატრიბუტულ მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე ზომის, სანყაოს, რაიმე ერთეულისა თუ სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები (ჭიქა წყალი, ურემი შეშა, ზღვა ხალხი...), პროფესია-საქმიანობისა თუ ნოდება-თანამდებობის გამომხატველი სიტყვები (პროფესორი რაზმაძე, მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, ადვოკატი გელაშვილი...), გეოგრაფიულ სახელთა თუ სათაურ-სახელწოდებათა დანართები (ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი; რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, კინოფილმი „დიდი გასეირნება“ ...), მიმართვისას გამოყენებული ქართული თუ უცხოური სიტყვები (ბატონი ზურაბი, ქალბატონი რუსუდანი, მისტერ ჰიგინსი, ლედი ჰამილტონი...), ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები (დეიდა ქეთევანი, ბიძია გიორგი...) და სხვ.

სახელს ქართულში ორი გრამატიკული კატეგორია აქვს – ბრუნვისა და რიცხვის, ამიტომ მსაზღვრელის სინტაქსური მიმართება საზღვრულ წევრთან სწორედ ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს, რისთვისაც, თავის მხრივ, გასათვალისწინებელია: ა) ატრიბუტული მსაზღვრელის წყობა პირდაპირია თუ ინვერსიული; ბ) ბოლოთანხმოვნის სახელით არის წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი თუ ბოლოხმოვნისათვის; გ) პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი უშუალოდ საზღვრულთან დასტურდება თუ გათიშულია მისგან წინადადების სხვა წევრით; დ) რომელი მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი (ზედსართავით, რიცხვით, ნაცვალსახელით თუ არსებითით); ე) ებიან მრავლობითშია საზღვრული თუ წართანხმებული.

ძველ ქართულში ზედსართავი სახელით (თუ მიმღეობით) წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი ძირითადად მოსდევდა საზღვრულ წევრს, თუმცა ზოგჯერ (შედარებით იშვიათად) მის წინაც დასტურდებოდა.

მსაზღვრელის საზღვრულთან შეწყობისათვის ძველ ქართულში მნიშვნელობა არ ჰქონდა არც რიგს (ე. ი. უსწრებდა ის საზღვრულს თუ მოსდევდა მას) და არც ფუძის დაბოლოებას (ე.ი. ბოლოთანხმოვნის სახელით იყო ის გადმოცემული თუ ბოლოხმოვნისათვის) – ატრიბუტული მსაზღვრელი სრულად ეთანხმებოდა თავის საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში (იყო რამდენიმე გამონაკლისიც).

თანამედროვე ქართულში მსაზღვრელი წევრი ძირითადად პრეპოზიციურია, თუმცა მხატვრულ ლიტერატურაში (განსაკუთრებით – პოეზიის ენაში) პოსტპოზიციური მსაზღვრელიც მრავლად დასტურდება.

## **მსაზღვრელი ზედსართავი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში**

ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას (ბრუნვასა და რიცხვში) უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ზედსართავი სახელით (თუ მიმღეობით) გადმოცემული **პრეპოზიციური** ბოლოთანხმოვნისანი მსაზღვრელი თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ის ფუძის სახით წარმოდგება საზღვრულთან, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს, თანხმოვნითი ნაწილი ჩამოსცილდება.

სახ.	ყვითელ-ი	ფოთოლ-ი	გახარებულ-ი	ბავშვ-ი
მოთხრ.	ყვითელ-მა	ფოთოლ-მა	გახარებულ-მა	ბავშვ-მა
მიც.	ყვითელ	ფოთოლ-ს	გახარებულ	ბავშვ-ს
ნათ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ის	გახარებულ-ი	ბავშვ-ის
მოქმ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ით	გახარებულ-ი	ბავშვ-ით
ვით.	ყვითელ	ფოთლ-ად	გახარებულ	ბავშვ-ად
წოდ.	ყვითელ-ო	ფოთოლ-ო	გახარებულ-ო	ბავშვ-ო

1.1. ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს ზედსართავი სახელით (თუ მიმღეობით) გადმოცემული ბოლოთანხმოვნისანი **პრეპოზიციური** მსაზღვრელი მხოლოდითი რიცხვის ფორმით შეეწყობა. ნარიან მრავლობითში ის ეთანხმება თავის საზღვრულს ბრუნვაშიც და რიცხვშიც (სახ. **ყვითელნი ფოთოლნი, გახარებულნი ბავშვნი**; წოდ. **ყვითელნო ფოთოლნო, გახარებულნო ბავშვნო**), ხოლო თანხანში ფუძის სახით იქნება გამობატული (მოთხრ., მიც.,ნათ. **ყვითელ ფოთოლთა, გახარებულ ბავშვთა**).

სახ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ი	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	ყვითელ-მა	ფოთლ-ებ-მა	გახარებულ-მა	ბავშვ-ებ-მა
მიც.	ყვითელ	ფოთლ-ებ-ს	გახარებულ	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ის	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ით	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ით
ვით.	ყვითელ	ფოთლ-ებ-ად	გახარებულ	ბავშვ-ებ-ად
წოდ.	ყვითელ-ო	ფოთლ-ებ-ო	გახარებულ-ო	ბავშვ-ებ-ო

სახ.	ყვითელ-ნი	ფოთოლ-ნი	გახარებულ-ნი	ბავშვ-ნი
მოთხრ.	ყვითელ	ფოთოლ-თა	გახარებულ	ბავშვ-თა
მიც.	ყვითელ	ფოთოლ-თა	გახარებულ	ბავშვ-თა
ნათ.	ყვითელ	ფოთოლ-თა	გახარებულ	ბავშვ-თა
მოქმ.	–	–	–	–
ვით.	–	–	–	–
წოდ.	ყვითელ-ნო	ფოთოლ-ნო	გახარებულ-ნო	ბავშვ-ნო

1.2. **პრეპოზიციური** ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ბოლოხმოვნიათი სახელით (ზედსართავითა თუ მიმლეობით) არის წარმოდგენილი, მხოლოდობითა და მრავლობითში დასმულ საზღვრულს ფუძის სახით შეეწყობა ყველა ბრუნვაში:

სახ.	მწვანე	მინდორ-ი	მოცურავე	ბავშვ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდორ-მა	მოცურავე	ბავშვ-მა
მიც.	მწვანე	მინდორ-ს	მოცურავე	ბავშვ-ს
ნათ.	მწვანე	მინდვრ-ის	მოცურავე	ბავშვ-ის
მოქმ.	მწვანე	მინდვრ-ით	მოცურავე	ბავშვ-ით
ვით.	მწვანე	მინდვრ-ად	მოცურავე	ბავშვ-ად
წოდ.	მწვანე	მინდორ-ო	მოცურავე	ბავშვ-ო
სახ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ი	მოცურავე	ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდვრ-ებ-მა	მოცურავე	ბავშვ-ებ-მა
მიც.	მწვანე	მინდვრ-ებ-ს	მოცურავე	ბავშვ-ებ-ს
ნათ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ის	მოცურავე	ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ით	მოცურავე	ბავშვ-ებ-ით
ვით.	მწვანე	მინდვრ-ებ-ად	მოცურავე	ბავშვ-ებ-ად
წოდ.	მწვანე	მინდვრ-ებ-ო	მოცურავე	ბავშვ-ებ-ო
სახ.	მწვანე	მინდორ-ნ-ი	მოცურავე	ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდორ-თ-ა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მიც.	მწვანე	მინდორ-თ-ა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
ნათ.	მწვანე	მინდორ-თ-ა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მოქმ.	–			–
ვით.	–			–
წოდ.	მწვანე	მინდორ-ნ-ო	მოცურავე	ბავშვ-ნ-ო

1.3. გათიშული **პრეპოზიციური** მსაზღვრელი (რომელიც ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება) – ბოლოთანხმოვნიათი და ბოლოხმოვნიათი – ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „**შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა**“ (ვაჟა); „**მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა** ხარი ირემი რქიანი“ (ვაჟა)...

2. ზედსართავით (თუ მიმლეობით) გამოხატული **ატრიბუტულ-პოსტპოზიციური** მსაზღვრელი (ბოლოთანხმოვნიათი და ბოლოხმოვნიათი) თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება ყველა ბრუნვაში. აღნიშნული ტიპის შემთხვევები ძირითადად პოეზიაში დასტურდება: „გვერდს უზის **ქალი ლამაზი**, სანთელივითა დნებაო“ (ხალხ.); „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით **ფრინველმა გარეგანმა**“ (აკაკი); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „**ბალახს მწვანესა** მიირთმევს“ (ხალხ.); „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა **ვაჟკაცის კარგისა**“ (ვაჟა); „გადის ღუმელი ოთახიდან **ნაბიჯით ზანტით**“ (მუხრანი); „იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა **პეპელად ქრელადა**“ (ვაჟა); „რამ მოაქცია **კაცად ყრუდ?**“ (ხალხ.); „**კლდეო მაღალო**, შეინახე ჩემი ფესვები!“ (ვაჟა) ...

2.1. შეიკუმშება ან შეიკვეცება **პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუძე, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადია ან კვეცადი.

სახ.	ფოთოლ-ი	ყვითელ-ი	სახლი	პატარა
მოთხრ.	ფოთოლ-მა	ყვითელ-მა	სახლ-მა	პატარა-მ

მიც.	ფოთოლ-ს	ყვითელ-ს	სახლ-ს	პატარა-ს
ნათ.	ფოთლ-ის	ყვითლ-ის	სახლ-ის	პატარ-ის
მოქმ.	ფოთლ-ით	ყვითლ-ით	სახლ-ით	პატარ-ით
ვით.	ფოთლ-ად	ყვითლ-ად	სახლ-ად	პატარა-დ
ნოდ.	ფოთოლ-ო	ყვითელ-ო	სახლ-ო	პატარა-ვ

2.2. ატრიბუტულ-პოსტპოზიციური მსაზღვრელისა და საზღვრულის მრავლობით რიცხვში შეთანხმებისას გამოიყოფა რამდენიმე ტიპი (პოეზიის ენაში).

- საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: „ნაქერალაში დამდგარან თუშები თექიანები“ (ვაჟა); „გარს სანგლად შემოუვლიათ ხევეები ბექიანები“ (ვაჟა); „მინდვრები, ქართლის მინდვრები, ქედები მხარგაშლილები...“ (ანა)...
- საზღვრულიცა და პოსტპოზიციური მსაზღვრელიც წართანიანი მრავლობითით დასტურდება: „სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი“ (ალ. ჭავჭავაძე); „ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი“ (ნ. ბარათაშვილი); „თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს და მათათა მწვანეთ“ (ალ. ჭავჭავაძე)...
- საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის გამოსატული, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – წართანიანი: „მოგროვდენ ყოველის მხრიდამ ვაჟები ლომისფერანი“ (ვაჟა); „მწყობრად მოდიან მხედრები სახეგაშლილნი, მზე ვით“ (ანა)...
- საზღვრული წარმოდგენილია წართანიანი მრავლობითით, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ებიანით. ასეთ შემთხვევებში მსაზღვრელი ხშირად განკერძოებულია: „მთანი, თავჩაჩქიანები, ფიქრს მისცემიან მწარესა“ (ვაჟა) ...
- საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით დასტურდება, ხოლო პოსტპოზიციური მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია: „გულს მიკლავს, გონებას მირევს ფიქრები გაუგებარი“ (ვაჟა); „დილაა. სველია ბალახი. სველია ბელტები ნედლი“ (მუხრანი). განკერძოებული მსაზღვრელი ამ შემთხვევაშიც დაჩნდება: „ხომ არის ისეთი დღეები, დარიანი, ჰაერის სითბო მხრებში რომ აგწევს, აგამჩატებს“ (გ. კვარაცხელია)...

2.3. პოსტპოზიციური მსაზღვრელი განკერძოვდება, თუ ის გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით (განკერძოვდება ამ სიტყვებთან ერთად): „სიტყვებს, – წინაპართ მიერ გახედნილთ, დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ“ (მუხრანი)...

2.4. ინვერსიული მსაზღვრელი შეიძლება განკერძოვდეს მაშინაც, როცა ის არ არის გავრცობილი მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით. აღნიშნული ტიპის შემთხვევები მწერლის პოზიციით აიხსნება (როგორ მოიაზრებს ის წინადადებაში მსაზღვრელს – პაუზით თუ უპაუზოდ): „მთებს, – პირდაბანილთ, – შეუმშრალა ქარმა ხელ-პირი“ (მუხრანი)...

2.5. გათიშული პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ბოლოთანხმოვნისა და ბოლოხმოვნისა – ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „და როდესაც მზეს შევხედე გვირგვინოსანს, ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს“ (ანა); „ველებს გაჰყურებს მწვანესა“ (ხალხ.)...

2.6. თუ საზღვრული თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი, პოსტპოზიციური მსაზღვრელიც დაირთავს თანდებულს: „საუბრობდნენ საკითხებზე ძირითადად“... ასეთ შემთხვევებში



თანდებულდართული მსაზღვრელი შესაძლებელია განკერძოვდეს (მძიმით გამოეყოს საზღვრულს): „საუბრობდნენ **საკითხებზე, ძირითადადზე**“...

2.7. თანამედროვე ქართულში პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი (ზედსართავითა თუ მიმღობით წარმოდგენილი) მრავლობით რიცხვშიც ეთანხმება თავის საზღვრულს, თუ ეს უკანასკნელი სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამომხატული (**ბავშვები ცელქები, ქალნი ლამაზნი, შაშვნი მგალობელნი, დათვები შავები, ლეკვები პატარები...**), ხოლო უსულო სახელით გადმოცემული საზღვრულის შემთხვევაში **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (**მდინარეები პატარები, ქედები მხარგაშლილები, მთანი მალალნი...**) და შეუთანხმებელიც (**ბელტები ნედლი, დღეები დარიანი, სახლები დიდი...**).

2.8. დასაშვებია ისეთი შემთხვევებიც (ძირითადად სახ. და წოდ. ბრუნვებში), როცა საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი – ნარიანით (**ქალები ლამაზნი, ქალებო ლამაზნო; მხედრები სახეგაშლილნი, მხედრებო სახეგაშლილნო; ჩიტები მოჭიკჭიკენი, ჩიტებო მოჭიკჭიკენო; შაშვები შავნი, შაშვებო შავნო...**), ან კიდევ – პირიქით: საზღვრული ნარიანი მრავლობითით გამოიხატება, **ინვერსიული** მსაზღვრელი – ებიანით (**ჭადარნი მალლები, ჭადარნო მალლებო; მთანი თავჩაჩქიანები, მთანო თავჩაჩქიანებო...**).

2.9. თუ **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი წარმოდგენილია ისეთი სახელით, რომელსაც ნაკლებად უდასტურდება ებიანი მრავლობითის ფორმები, ის მრავლობითში დასმულ საზღვრულს ან მხოლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა, ან – ნართანიანი მრავლობითით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამომხატული საზღვრული თუ უსულოთი, შდრ.: **ადამიანები** (ადამიანნი) **საინტერესო / საინტერესონი, წიგნები** (წიგნნი) **საინტერესო / საინტერესონი; ვაჟკაცები** (ვაჟკაცნი) **მათებრი / მათებრნი, საქმეები** (საქმენი) **მათებრი / მათებრნი...** (ნაკლებად გვექნება: **ადამიანები** (ადამიანნი) **საინტერესოები** ან **წიგნები** (წიგნნი) **საინტერესოები; ვაჟკაცები** (ვაჟკაცნი) **მათებრები** ან **საქმეები** (საქმენი) **მათებრები...**). შესაბამისად, მხოლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემული **ინვერსიული** მსაზღვრელი დაშვებულ უნდა იქნეს მართებულ ვარიანტად ყველა შემთხვევაში.

## დასაბუთება

ახალ ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი (პრეპოზიციურიც და პოსტპოზიციურიც) ყველაზე ხშირად ზედსართავი სახელით (თუ მიმღობით) გამოიხატება: „**თბილმა სიომ** დაუბერა“ (მ. ჯავახიშვილი); „**გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი** გააგდო“ (ანდაზა); „**გასნი, გაკურცხლე** და შემომოკლე მოუთმენელსა **სავალნი დღენი**“ (ნ. ბარათიშვილი); „**მისი ხავსიანი რქები** ტყეს უსწორდებოდა“ (ვაჟა); „**მოზღვავებულმა ხალხმა** ცეცხლი მალე ჩააქრო“ (ვაჟა); „**გვადიმ ნაბდიდან მოდიდო ხურჯინი** გადმოიღო“ (ქიაჩელი); „**ამას უნდა მიაქციოთ უდიდესი ყურადღება**“ (ნ. ლორთქიფანიძე); „**ჩინებულად შეუნახავს მოკურდღლავე ყანა** გლედიჩს“ (მუხრანი); „**ეს მძაფრი კვნესა** მიწამლავს დღეებს“ (გალაკტიონი); „**მე თოვლი მიყვარს, როგორც** შენს ხმაში / **ერთ დროს ფარული დარდი** მიყვარდა“ (გალაკტიონი); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „**რომ გათენდება დილა მზიანი** და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“ (ნ. ბარათაშვილი); „**ხეზე შემოჯდა ჩიტი პატარა**“ (ვაჟა); „**კლდეო მალალო**, შეინახე ჩემი ფესვები“ (ვაჟა); „**ფართო მკერდი** ჰქონდა და **მკლავები ღონიერი**“ (მუხრანი); „**საქართველოო ლამაზო, / სხვა საქართველო სად არი?**“ (ანა); „**ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი...**“ (მუხრანი)...

ზედსართავი სახელით (თუ მიმღობით) გადმოცემული **პრეპოზიციური** ბოლოთანხმონიანი მსაზღვრელი თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა

და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ის ფუძის სახით წარმოდგება საზღვრულთან, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს, თანხმოვნითი ნაწილი ჩამოსცილდება. ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მხოლობითი რიცხვის ფორმით შეენყოფა; ნარიან მრავლობითში ის ეთანხმება თავის საზღვრულს ბრუნვაშიც და რიცხვშიც, ხოლო თანიანში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

სახ.	ყვითელ-ი	ფოთოლ-ი	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ი	ყვითელ-ნ-ი	ფოთოლ-ნ-ი
მოთხრ.	ყვითელ-მა	ფოთოლ-მა	ყვითელ-მა	ფოთლ-ებ-მა	ყვითელ	ფოთოლ-თ-ა
მიც.	ყვითელ	ფოთოლ-ს	ყვითელ	ფოთლ-ებ-ს	ყვითელ	ფოთოლ-თ-ა
ნათ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ის	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ის	ყვითელ	ფოთოლ-თ-ა
მოქმ.	ყვითელ-ი	ფოთლ-ით	ყვითელ-ი	ფოთლ-ებ-ით	–	
ვით.	ყვითელ	ფოთლ-ად	ყვითელ	ფოთლ-ებ-ად	–	
წოდ.	ყვითელ-ო	ფოთოლ-ო	ყვითელ-ო	ფოთლ-ებ-ო	ყვითელ-ნ-ო	ფოთოლ-ნ-ო

სახ.	გახარებულ-ი	ბავშვ-ი	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ი	გახარებულ-ნ-ი	ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	გახარებულ-მა	ბავშვ-მა	გახარებულ-მა	ბავშვ-ებ-მა	გახარებულ	ბავშვ-თა
მიც.	გახარებულ	ბავშვ-ს	გახარებულ	ბავშვ-ებ-ს	გახარებულ	ბავშვ-თ-ა
ნათ.	გახარებულ-ი	ბავშვ-ის	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ის	გახარებულ	ბავშვ-თ-ა
მოქმ.	გახარებულ-ი	ბავშვ-ით	გახარებულ-ი	ბავშვ-ებ-ით	–	
ვით.	გახარებულ	ბავშვ-ად	გახარებულ	ბავშვ-ებ-ად	–	
წოდ.	გახარებულ-ო	ბავშვ-ო	გახარებულ-ო	ბავშვ-ებ-ო	გახარებულ-ნ-ო	ბავშვ-ნ-ო

პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ბოლოხმოვნიათი სახელით (ზედსართავითა თუ მიმდებარით) არის გადმოცემული, მხოლობითსა და მრავლობითში დასმულ საზღვრულს ფუძის სახით ენყოფა ყველა ბრუნვაში.

სახ.	მწვანე	მინდორ-ი	მწვანე	მინდვრ-ებ-ი	მწვანე	მინდორ-ნ-ი
მოთხრ.	მწვანე	მინდორ-მა	მწვანე	მინდვრ-ებ-მა	მწვანე	მინდორ-თ-ა
მიც.	მწვანე	მინდორ-ს	მწვანე	მინდვრ-ებ-ს	მწვანე	მინდორ-თ-ა
ნათ.	მწვანე	მინდვრ-ის	მწვანე	მინდვრ-ებ-ის	მწვანე	მინდორ-თ-ა
მოქმ.	მწვანე	მინდვრ-ით	მწვანე	მინდვრ-ებ-ით	–	
ვით.	მწვანე	მინდვრ-ად	მწვანე	მინდვრ-ებ-ად	–	
წოდ.	მწვანე	მინდორ-ო	მწვანე	მინდვრ-ებ-ო	მწვანე	მინდორ-ნ-ო

სახ.	მოცურავე	ბავშვ-ი	მოცურავე	ბავშვ-ებ-ი	მოცურავე	ბავშვ-ნ-ი
მოთხრ.	მოცურავე	ბავშვ-მა	მოცურავე	ბავშვ-ებ-მა	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მიც.	მოცურავე	ბავშვ-ს	მოცურავე	ბავშვ-ებ-ს	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
ნათ.	მოცურავე	ბავშვ-ის	მოცურავე	ბავშვ-ებ-ის	მოცურავე	ბავშვ-თ-ა
მოქმ.	მოცურავე	ბავშვ-ით	მოცურავე	ბავშვ-ებ-ით	–	
ვით.	მოცურავე	ბავშვ-ად	მოცურავე	ბავშვ-ებ-ად	–	
წოდ.	მოცურავე	ბავშვ-ო	მოცურავე	ბავშვ-ებ-ო	მოცურავე	ბავშვ-ნ-ო

გათიშული **პრეპოზიციური** მსაზღვრელი (რომელიც ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება) – ბოლოთანხმოვნიათიცა და ბოლოხმოვნიათიც – ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „**შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა**“ (ვაჟა); „**მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა** ხარი ირემი რქიანი“ (ვაჟა)...

რაც შეეხება **ატრიბუტულ-პოსტპოზიციურ** მსაზღვრელს (ზედსართავითა თუ მიმღებობით გამოხატულს), ის – ბოლოთანმონიანიცა და ბოლომონიანიც – თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში. აღნიშნული ტიპის შემთხვევები ძირითადად პოეზიაში (ზოგადად – მხატვრულ ლიტერატურაში) დასტურდება: „გვერდს უზის **ქალი ლამაზი**, სანთელივითა დნებაო“ (ხალხ.); „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა“ (აკაკი); „**ველს მშვენიერსა** ჩასძინებოდა“ (ილია); „**ბალახს მწვანესა** მიირთმევს“ (ხალხ.); „დიაცს მუდამაც უხდება გლოვა **ვაჟკაცის კარგისა**“ (ვაჟა); „გადის დუმილი ოთახიდან **ნაბიჯით ზანტით**“ (მუხრანი); „იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა **პეპელად ქრელადა**“ (ვაჟა); „რამ მოაქცია **კაცად ყრუდ?**“ (ხალხ.); „**კლდეო მაღალო**, შეინახე ჩემი ფესვები!“ (ვაჟა) ...

სახ.	ქალ-ი	ლამაზ-ი	კაც-ი	ყრუ
მოთხრ.	ქალ-მა	ლამაზ-მა	კაც-მა	ყრუ-მ
მიც.	ქალ-ს	ლამაზ-ს	კაც-ს	ყრუ-ს
ნათ.	ქალ-ის	ლამაზ-ის	კაც-ის	ყრუ-ს(ი)
მოქმ.	ქალ-ით	ლამაზ-ით	კაც-ით	ყრუ-თი
ვით.	ქალ-ად	ლამაზ-ად	კაც-ად	ყრუ-დ
ნოდ.	ქალ-ო	ლამაზ-ო	კაც-ო	ყრუ-ო

**პოსტპოზიციური** მსაზღვრელის ფუძე შეიკუმშება ან შეიკვეცება, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადია ან კვეცადი.

სახ.	ფოთოლ-ი	ყვითელ-ი	სახლი	პატარა
მოთხრ.	ფოთოლ-მა	ყვითელ-მა	სახლ-მა	პატარა-მ
მიც.	ფოთოლ-ს	ყვითელ-ს	სახლ-ს	პატარა-ს
ნათ.	ფოთლ-ის	ყვითლ-ის	სახლ-ის	პატარ-ის
მოქმ.	ფოთლ-ით	ყვითლ-ით	სახლ-ით	პატარ-ით
ვით.	ფოთლ-ად	ყვითლ-ად	სახლ-ად	პატარა-დ
ნოდ.	ფოთოლ-ო	ყვითელ-ო	სახლ-ო	პატარა-ვ

**ატრიბუტულ-პოსტპოზიციური** მსაზღვრელისა და საზღვრულის მრავლობით რიცხვში შეთანხმებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე შემთხვევა (პოეზიის ენაში).

- საზღვრულიცა და **პოსტპოზიციური** მსაზღვრელიც ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: „ნაქერალაში დამდგარან **თუშები თექიანები**“ (ვაჟა); „გარს სანგლად შემოუვლიათ **ხევები ბექიანები**“ (ვაჟა); „მინდვრები, ქართლის მინდვრები, **ქედები მხარგაშლილები...**“ (ანა)...

სახ.	თუშ-ებ-ი	თექიან-ებ-ი
მოთხრ.	თუშ-ებ-მა	თექიან-ებ-მა
მიც.	თუშ-ებ-ს	თექიან-ებ-ს
ნათ.	თუშ-ებ-ის	თექიან-ებ-ის
მოქმ.	თუშ-ებ-ით	თექიან-ებ-ით
ვით.	თუშ-ებ-ად	თექიან-ებ-ად
ნოდ.	თუშ-ებ-ო	თექიან-ებ-ო

- საზღვრულიცა და **პოსტპოზიციური** მსაზღვრელიც ნართანინი მრავლობითით დასტურდება: „სად ჰყვავებულან დიდებულად **ქალაქნი ვრცელნი**“ (ალ. ჭავჭავაძე); „ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივაღალაებენ **სვავნი მყივარნი**“ (ნ. ბართათაშვილი); „თვის შორის ხატავს ცისა ლაჟვარდს და **მთათა მწვანეთ** (ალ. ჭავჭავაძე)...

სახ.	სვავ-ნ-ი	მყივარ-ნ-ი
მოთხრ.	სვავ-თ-ა	მყივარ-თ-ა
მიც.	სვავ-თ-ა	მყივარ-თ-ა
ნათ.	სვავ-თ-ა	მყივარ-თ-ა
მოქმ.		–
ვით.		–
წოდ.	სვავ-ნ-ო	მყივარ-ნ-ო

- საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის გამოხატული, **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი – ნარიანით: „მოგროვდენ ყოველის მხრიდამ **ვაჟები ლომისფერანი**“ (ვაჟა); „მწყობრად მოდიან **მხედრები სახეგაშლილნი**, მზე ვით“ (ანა)...
- საზღვრული წარმოდგენილია ნარიანი მრავლობითით, **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი – ებიანით. ასეთ შემთხვევებში მსაზღვრელი ხშირად განკერძოებულია: „**მთანი, თავჩაჩქიანები**, ფიქრს მისცემიან მწარესა“ (ვაჟა) ...
- საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით დასტურდება, ხოლო **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი მხოლოდ რიცხვშია: „გულს მიკლავს, გონებას მირევს **ფიქრები გაუგებარი**“ (ვაჟა); „დილაა. სველია ბალახი. სველია **ბელტები ნედლი**“ (მუხრანი). განკერძოებული მსაზღვრელი ამ შემთხვევაშიც დაჩნდება: „ხომ არის ისეთი **დღეები, დარიანი**, ჰაერის სითბო მხრებში რომ აგწევს, აგამჩატებს“ (გ. კვარაცხელია)...

სახ.	ბელტ-ებ-ი	ნედლ-ი
მოთხრ.	ბელტ-ებ-მა	ნედლ-მა
მიც.	ბელტ-ებ-ს	ნედლ-ს
ნათ.	ბელტ-ებ-ის	ნედლ-ის
მოქმ.	ბელტ-ებ-ით	ნედლ-ით
ვით.	ბელტ-ებ-ად	ნედლ-ად
წოდ.	ბელტ-ებ-ო	ნედლ-ო

**პოსტპოზიციური** მსაზღვრელი განკერძოვდება, თუ ის გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით (განკერძოვდება ამ სიტყვებთან ერთად): „**სიტყვებს**, – წინაპართ მიერ **გახედნილთ**, დიდი რუსთველის უღელში **ნაბამთ**“ (მუხრანი)...

**ინვერსიული** მსაზღვრელი შეიძლება განკერძოვდეს მაშინაც, როცა ის არ არის გავრცობი-



ლი მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით. აღნიშნული ტიპის შემთხვევები მწერლის პოზიციით აიხსნება (როგორ მოიაზრებს ის წინადადებაში მსაზღვრელს – პაუზით თუ უპაუზოდ): „**მთებს, – პირდაპანილო, – შეუმშრალა ქარმა ხელ-პირი**“ (მუხრანი)...

ზოგჯერ **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი გათიშულია თავისი საზღვრულისაგან წინადადების სხვა წევრით (ყველაზე ხშირად – ზმნა-შემასმენლით). ასეთ შემთხვევებში ის (მსაზღვრელი – ფუძეთანხმოვნიანიცა და ფუძეხმოვნიანიც) ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს: „**ხარს** ვგავარ **ნაიალალარს**“ (ვაჟა); „და როდესაც **მზეს** შევხედე **გვირგვინოსანს**, ჩემო კარგო, ქვეყანაზე გავჩნდი ოდეს“ (ანა); „**წელიწადები** წავლიან **ძველნი**, შეიცვლებიან ქარით სიონი“ (გალაკტიონი); „**ველებს** გაჰყურებს **მწვანესა**“ (ხალხ...)...

თუ საზღვრული თანდებულიანი ფორმით არის წარმოდგენილი, **პოსტპოზიციური** მსაზღვრელიც დაირთავს თანდებულს: „საუბრობდნენ **საკითხებზე ძირითადზე**“... ასეთ შემთხვევებში თანდებულდართული მსაზღვრელი მძიმითაც გამოეყოფა საზღვრულს: „საუბრობდნენ **საკითხებზე, ძირითადზე**“...

თანამედროვე ქართულში **პოსტპოზიციური** ატრიბუტული მსაზღვრელი (ბოლოთანხმოვნიანიცა და ბოლოხმოვნიანიც) მრავლობით რიცხვშიც ეთანხმება თავის საზღვრულს, თუ ეს უკანასკნელი სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამობატული (**ბავშვები ცელქები, ქალნი ლამაზნი, შაშვნი მგალობლნი, დათვები შავები, ლეკვები პატარები...**), ხოლო უსულო სახელით გადმოცემული საზღვრულის შემთხვევაში **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (**მდინარეები პატარები, ქედები მხარგაშლილები, მთანი მაღალნი...**) და შეუთანხმებელიც (**ბელტები ნელი, დღეები დარიანი, სახლები დიდი...**).

სახ.	ბავშვ-ებ-ი	ცელქ-ებ-ი	ქალ-ნ-ი	ლამაზ-ნ-ი
მოთხრ.	ბავშვ-ებ-მა	ცელქ-ებ-მა	ქალ-თ-ა	ლამაზ-თ-ა
მიც.	ბავშვ-ებ-ს	ცელქ-ებ-ს	ქალ-თ-ა	ლამაზ-თ-ა
ნათ.	ბავშვ-ებ-ის	ცელქ-ებ-ის	ქალ-თ-ა	ლამაზ-თ-ა
მოქმ.	ბავშვ-ებ-ით	ცელქ-ებ-ით		–
ვით.	ბავშვ-ებ-ად	ცელქ-ებ-ად		–
ნოდ.	ბავშვ-ებ-ო	ცელქ-ებ-ო	ქალ-ნ-ო	ლამაზ-ნ-ო

სახ.	დათვ-ებ-ი	შავ-ებ-ი	შაშვ-ნ-ი	მგალობელ-ნ-ი
მოთხრ.	დათვ-ებ-მა	შავ-ებ-მა	შაშვ-თ-ა	მგალობელ-თ-ა
მიც.	დათვ-ებ-ს	შავ-ებ-ს	შაშვ-თ-ა	მგალობელ-თ-ა
ნათ.	დათვ-ებ-ის	შავ-ებ-ის	შაშვ-თ-ა	მგალობელ-თ-ა
მოქმ.	დათვ-ებ-ით	შავ-ებ-ით		–
ვით.	დათვ-ებ-ად	შავ-ებ-ად		–
ნოდ.	დათვ-ებ-ო	შავ-ებ-ო	შაშვ-ნ-ო	მგალობელ-ნ-ო

სახ.	ქედ-ებ-ი	მხარგაშლილ-ებ-ი	სახლ-ებ-ი	დიდ-ი
მოთხრ.	ქედ-ებ-მა	მხარგაშლილ-ებ-მა	სახლ-ებ-მა	დიდ-მა
მიც.	ქედ-ებ-ს	მხარგაშლილ-ებ-ს	სახლ-ებ-ს	დიდ-ს
ნათ.	ქედ-ებ-ის	მხარგაშლილ-ებ-ის	სახლ-ებ-ის	დიდ-ის
მოქმ.	ქედ-ებ-ით	მხარგაშლილ-ებ-ით	სახლ-ებ-ით	დიდ-ით
ვით.	ქედ-ებ-ად	მხარგაშლილ-ებ-ად	სახლ-ებ-ად	დიდ-ად
ნოდ.	ქედ-ებ-ო	მხარგაშლილ-ებ-ო	სახლ-ებ-ო	დიდ-ო

დასაშვებია ისეთი შემთხვევებიც (ძირითადად სახ. და წოდ. ბრუნვებში), როცა საზღვრული ებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო **ინვერსიული** მსაზღვრელი – ნარიანით (**ქალები ლამაზნი, ქალებო ლამაზნო; მხედრები სახეგაშლილნი, მხედრებო სახეგაშლილნო; ჩიტები მოჭიკჭიკენი, ჩიტებო მოჭიკჭიკენო; შაშვეები შავნი, შაშვეებო შავნო...**), ან კიდევ – პირიქით: საზღვრული ნარიანი მრავლობითით გამოიხატება, პოსტპოზიციური მსაზღვრელი – ებიანით (**ჭადარნი მალლები, ჭადარნო მალლებო; მთანი თავჩაჩქიანები, მთანო თავჩაჩქიანებო...**).

არცთუ იშვიათად **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი წარმოდგენილია ისეთი სახელით, რომელსაც ნაკლებად უდასტურდება ებიანი მრავლობითის ფორმები. ასეთ შემთხვევებში ის (მსაზღვრელი) მრავლობითში დასმულ საზღვრულს ან მხოლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა, ან – ნართანიანი მრავლობითით; მნიშვნელობა არა აქვს იმას, სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამომხატული საზღვრული თუ უსულოთი, შდრ.: ადამიანები (ადამიანნი) **საინტერესო / საინტერესონი, წიგნები (წიგნნი) საინტერესო / საინტერესონი; ვაჟკაცები (ვაჟკაცნი) მათებრი / მათებრნი, საქმეები (საქმენი) მათებრი / მათებრნი...** (ნაკლებად გვექნება: **ადამიანები (ადამიანნი) საინტერესოები ან წიგნები (წიგნნი) საინტერესოები; ვაჟკაცები (ვაჟკაცნი) მათებრები ან საქმეები (საქმენი) მათებრები ...**). შესაბამისად, მხოლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემული **ინვერსიული** მსაზღვრელი დაშვებულ უნდა იქნეს მართებულ ვარიანტად ყველა შემთხვევაში.

## ლიტერატურა

1. არაბული ავთ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
3. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
4. თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
5. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
6. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი, 2018.
7. ლეჟავა ლ., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.
8. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
9. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
10. ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.